ბრწყინვალე გამარჯვება

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 8 აპრილი.

"დინამო" (თბილისი, სსრ კავშირი) – "ფეიენოორდი" (როტერდამი, ჰოლანდია) 3:0 (2:0).

"დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე (ხიზანიშვილი), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ჟვანია).

"ფეიენოორდი": ჰილე, ნილსენი, ტროისტი (ბრარდი), სტაფლიუ, ვიინსტეკერსი, ბოუვენსი, ვერმიულენი, ბუდინგი, ნოტენი, პეტურსონი (დე ლიუივი), ვან დეისენი.

მსაჯი: ე. ფრედრაქსონი (შვეცია).

გაფრთხილებულია სტაფლიუ.

მატჩს დაესწრო 80.000 მაყურებელი.

თამაშის წინ

თბილისის "დინამოს" ნახევარფინალურ მატჩს როტერდამის "ფეიენოორდთან" დიდი აჟიოტაჟი უძღოდა წინ. მართალია, ზოგიერთი მკითხველი საყვედურსაც გამოთქვამდა, ასეთ მოჭარბებულ ყურადღებას რომ ვუთმობდით მოსალოდნელ თამაშს, მაგრამ რა იზამ: ჩიტი ღირდა ბდღვნად, ეს "ჩიტი" კი მოგეხსენებათ, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაა, რომლის ფინალამდე "სულ რაღაც" ერთი ნაბიჯიღა გვქონდა დარჩენილი. ეს ერთი ნაბიჯი კი სწორედ "ფეიენოორდი" იყო.

ჩვენ დიდ გაწამაწიაში ვიყავით, მაგრამ თუ რა ხდებოდა მეტოქის ბანაკში, შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუნდაც იმით, რომ ჰოლანდიელ ფეხბურთელებს თბილისში ჟურნალისტთა მთელი რაზმი და მრავალი გულშემატკივარი ჩამოჰყვა, რომლებიც ქალაქის ქუჩებში თავისი კლუბის ფერის ტანსაცმლით, ქუდებითა და ყელსახვევებით დასეირნობდნენ.

რა ტაქტიკას აირჩევდა თბილისის მინდორზე "ფეიენოორდი"? ამ კლუბის ხელმძღვანელობამ კარგად იცის თბილისის "დინამოს" გამარჯვებები ინგლისის გუნდებთან – "ლივერპულთან" და "ვესტ ჰემ იუნაიტედთან", ამიტომ, ცხადია, მიმართავდა ძველ, ნაცად ხერხს: საიმედო დაცვას მეტოქის მინდორზე და შეტევას – საკუთარზე. ამის საფუძველი, ალბათ, ისიც გახლდათ, რომ, როგორც ჩვენმა სტატისტიკოსმა კ. ესენინმა გამოიანგარიშა, ბოლო წლებში "ფეიენოორდს" ევროპული ტურნირის არც ერთი მატჩიც კი არ წაუგია თავის სტადიონზე. რაღა ახლა, თბილისის "დინამოსთან" შეხვედრებში უღალატებდნენ თავის ამ ტრადიციას როტერდამელები?

ბოლო ხანებში ცენტრალური პრესის საფეხბურთო მიმომხილველები ბევრს წერდნენ ჩვენს გუნდზე. მათ სერიოზულად აშფოთებდათ თბილისის დინამოელთა ბოლო ხანების რამდენიმე წარუმატებლობა საკავშირო ჩემპიონატსა და თასზე. საგანგებოდ უსვამდნენ ხაზს, რომ გუნდის ცალკეულ მოთამაშეებს ხშირი ტრავმები აქვთ, მათი უყოლობა კი ერთობ სერიოზული დანაკლისია ამ უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩისთვის.

ერთი სიტყვით, საზრუნავი საკმარისზე მეტი ჰქონდა თბილისის "დინამოს" მთელს კოლექტივს და მის ხელმძღვანელობას. ის, რომ პირველი მატჩი თბილისში იყო დანიშნული, გარკვეულ უპირატესობას აძლევდა "ფეიენოორდს" – ცნობილია, რომ განმეორებით მატჩში, როგორც წესი, კონკრეტული, გარკვეული ამოცანის წინაშე დგახარ და ზუსტად იცი რა გააკეთო.

თამაში

პირველი, რამაც მატჩის დასაწყისში მიიპყრო ყურადღება, იყო ჰოლანდიელ ფეხბურთელთა კარგი ტექნიკა, ათლეტური მომზადება და თანამედროვე ტოტალური ფეხბურთის შესატყვისი კლასი. აშკარად იგრძნობოდა ცნობილი ჰოლანდიური საფეხბურთო სკოლის ხელწერა, როტერდამელ ფეხბურთელებს არა აქვთ მკვეთრად განსაზღვრული

განსხვავება ცალკეული რგოლების მოთამაშეთა შორის, როცა საჭიროა ყველა უკან იხევს, როცა საჭიროა შეტევას ერთვიან ნახევარმცველებიც და მცველებიც.

ყველაფერი ეს კარგად ჩანდა მატჩის პირველი ათიოდე წუთის მანძილზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც დინამოელებმა თანდათან მოუმატეს ტემპს, იერიშებში ჩართეს უკლებლივ ყველა მოთამაშე, "ფეიენოორდის" რიგებსაც ბზარი გაუჩნდა. ჩვენი აზრით, სტუმრები საგრძნობლად აგებდნენ დინამოელებთან უშუალო ინდივიდუალურ ბრძოლაში. საკმარისი იყო ბურთს პირისპირ შემორჩენოდა ორი ფეხბურთელი, რომ თბილისელი აშკარად უგებდა როტერდამელს და ეს ეხება არა მარტო ყიფიანს, ჩივაძეს, სულაქველიძეს, შენგელიას, არამედ უკლებლივ ყველას. მაგალითად, პეტურსონმა, ბუდინგმა ვერც ერთხელ ვერ შეძლეს თავაძესთან გასვლა, სამაგიეროდ, სვანაძე, კოსტავა, დარასელია და სხვანი სისტემატურად იგებდნენ ორთაბრძოლებს.

თბილისელთა შეტევები მალე ერთ მთლიან, მძლავრ შტურმად იქცა და აქ სტუმრებმა თავიანთ ნაქებ ტექნიკასა და ტაქტიკურ მომზადებას "დაუმატეს" ჯერ ძალისმიერი თამაში და როცა ამითაც ვერაფერს გახდნენ – ელემენტარული უხეშობა. საკმარისი იყო დინამოელებს მინდვრის რომელიმე ზონაში წამოეწყოთ შეტევა, რომ მათს წინაშე უხეშად მებრძოლი როტერდამელი აღიმართებოდა ხოლმე. მართალია, მსაჯმა მხოლოდ სტაფლიუ გააფრთხილა, მაგრამ ეს იყო მოგვიანებული და ისიც ეპიზოდური ღონისძიება.

23–ე წუთზე გუცაევი გასცდა ორ მცველს და ცენტრში მიაწოდა სულაქველიძეს, რომელმაც ზუსტად, სწრაფად, მკვეთრად ითამაშა თავით – 1:0. უნდა ითქვას, რომ სულაქველიძე ამ საგოლე პოზიციაში სულაც არ მოხვედრილა შემთხვევით. იგი მანამდეც და მერეც ხშირად გვევლინებოდა აქტიური ნახევარმცველის როლში.

ერთ–ერთ მომენტში "ფეიენოორდის" მარჯვენა მცველმა ნილსენმა ცარიელი კარის ხაზიდან გამოიტანა შენგელიას მიერ დარტყმული ბურთი, მაგრამ 30–ე წუთზე მანვე მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, რაც წამსვე გამოიყენა დარასელიამ, გადასცა ბურთი გუცაევს და ანგარიში გახდა 2:0.

გამოირკვა, რომ "ფეიენოორდის" დაცვაში საკმაოდ იყო ხარვეზები, ასეთი სიტუაციის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა და დინამოელებმაც არ დააყოვნეს ესარგებლათ შექმნილი მომენტებით: 52–ე წუთზე სულაქველიძემ მესამედ აიძულა მეკარე ჰილე ბადიდან გამოეტანა ბურთი – 3:0.

ჰოლანდიელთა კარი კიდევ მრავალჯერ იყო რეალური ხიფათის წინაშე. მასპინძელთა იერიშებს ბოლო არ უჩანდა და ანგარიშის გაზრდაც შეიძლებოდა. თუნდაც მაშინ, რომცა შენგელია პირისპირ დარჩა მეკარესთან.

თამაშის ბოლოს როტერდამელებმა გამონახეს ძალები და საგრძნობი გარდატეხა შეიტანეს თამაშში. გარკვეულ პერიოდში დინამოელებმა დაკარგეს კონტროლი შუა მინდორზე, რამაც მეტოქეებს რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნის საშუალება მისცა. მაგალითად, ერთხელ ძელსაც მოხვდა ბურთი.

თბილისის "დინამომ" ბრწყინვალედ, უმაღლეს დონეზე ჩაატარა თასების მფლობელთა თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი და დამაჯერებელი, ერთობ საიმედო განაცხადი გააკეთა ფინალში გასვლაზე, ფინალი ევროპის ბევრი უძლიერესი საკლუბო გუნდისთვისაც კი მიუღწეველი ოცნებაა. განმეორებით მატჩს, რომელიც დინამოელებს 22 აპრილს აქვთ როტერდამში, იმედის თვალით ვუყურებთ.

თამაშის შემდეგ

თავისი მოსაზრება გამოთქვა "ფეიენოორდის" მწვრთნელმა ვაცლავ იეჟეკმა:

– თბილისის "დინამოს" სახით საქმე გვქონდა მეტად ძლიერ, გამოცდილ გუნდთან, რომელმაც უმაღლესი ევროპული კლასი გვაჩვენა. ცალკეული დინამოელი ფეხბურთელები საუცხოოდ თამაშობენ და პირველი 70 წუთი აბსოლუტურად თბილისელებისა იყო.

განმეორებითი მატჩისთვის იმედს არ ვკარგავთ, ყველაფერს გავაკეთებთ რაც კი შეგვიძლია და, რომ შეგვიძლია, ეს დავამტკიცეთ ამ წაგებული მატჩის ბოლო 20 წუთში.

ბ. ქორქია.
"ლელო", 9 აპრილი, 1981 წ.

"ჰერალდ ტრიბუნი" აქებს...

ძვირფასო რედაქცია!

ამ წერილს პარიზიდან გიგზავნით. ამას წინათ გაზეთ "ნიუ–იორკ ჰერალდ ტრიბუნში" საინტერესო მასალას წავაწყდი თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდზე. უნდა ითქვას, რომ ეს გაზეთი საერთოდ ძალზე ცოტას ბეჭდავს სპორტის შესახებ. ამიტომ აღნიშნული მასალა მნიშვნელოვნად მიმაჩნია. გთავაზობთ თარგმანს გაზეთიდან. ვფიქრობ, იგი "ლელოს" მკითხველთათვის საინტერესო იქნება.

გ. ჩოგოვაძე,
პროფესორი. იუნესკოს მეთოდიკის, სტრუქტურისა და ტექნიკის სექტორის გამგე. პარიზი.

დიდი ფეხბურთის მატჩის შედეგის განსაზღვრა, მისი პროგნოზირება ისევე ძნელია, როგორც, ვთქვათ იწინასწარმეტყველო ინგლისური ამინდი. აი, ახლაც, ლონდონში წვიმს და ვიცი ვერსად წავალ. წვიმას ვერ შევაჩერებ, მაგრამ მადლობა ღმერთს, შემიძლია თავი ჩემს ბინას შევაფარო...

"ვესტ ჰემ იუნაიტედს" კი ასეთი "საფარი" არ ჰქონდა, რადგან მისი მთელი სეზონის წარმატებები ერთ მშვენიერ ოთხშაბათს ლონდონის "ეპტონ პარკის" სტადიონზე საქართველოს გუნდმა – თბილისის "დინამომ" ერთბაშად დაამსხვრია.

ჩვენმა სტუმარმა ინგლისელ მაყურებელს აჩვენა გასაოცარი შესაძლებლობანი და ბურთის ფლობის იშვიათი უნარი, მისი თამაშის სტილი საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. გამახსენდა 1960 წლის მადრიდის "რეალი" და ფრანკფურტის "აინტრაპტი", მიუნხენის "ბაიერნი" და ამსტერდამის "აიაქსი" 1972 წლის ვარიანტით. როგორც მაშინ ალფრედო და სტეფანო, როგორც მერე იოჰან კრუიფი, თბილისელთა მიერ ამჯერად გამართულ სპექტაკლსაც ჰყავდა თავისი დირიჟორი, ეს იყო დავით ყიფიანი. 30 წლის ტანმაღალი, დინჯი ფეხბურთელი. იგი ბევრი კომბინაციის წამომწყები და დამაგვირგვინებელი იყო, ყველაფერს ლამაზად, მე ვიტყოდი, არტისტულად აკეთებდა, რითაც აღტაცებაში მოჰყავდა "ვესტ ჰემის" ფეხბურთელებიც კი. ყიფიანი, ჩემი აზრით, ზუსტად განასახიერებს თბილისის "დინამოს", თუ გნებავთ, თვითონ თბილისს... სხვათა შორის, ეს მან ერთი წლის წინათაც, ჯერ კიდეც "ლივერპულთან" მატჩში დაამტკიცა.

ყიფიანს კარგ "თანაშემწეობას" უწევს რამაზ შენგელია – მკვირცხლი, მუდამ ბურთის მაძიებელი მოთამაშე. მან მეოთხე გოლით დააგვირგვინა "დინამოს" გამარჯვება, როდესაც შეუჩერებლივ გაგზავნა კარში ყიფიანის მიერ მთელი 60 იარდის მანძილიდან ჩაწოდებული ბურთი. ამის შემდეგ "ვესტ ჰემის" საქმე, რომ იტყვიან, გათავებული იყო და იგი მხოლოდ საპრესტიჟო გოლებისთვის იბრძოდა. ეს ლამაზი სანახაობა ახლაც თვალწინ მიდგას, თუმცა მისი შედეგი ინგლისელთათვის საკმაოდ არასასიამოვნოა. ზედიზედ ორ სეზონში აჩვენო ასეთი მაღალოსტატური ფეხბურთი, ეს პირდაპირ ფენომენალურია!

რობ ჰუგი, "ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბიუნის" საფეხბურთო მიმომხილველი.
"ლელო", 8 აპრილი, 1981 წ.